საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო

<u>გიორგი გზობავა</u>

ბიულეტენი

კენჭისყრა - 30.05.2024
თანახმა ხართ თუ არა, საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილ იქნეს გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურა?
დიახ (circled) არა

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი

გიორგი გზობავა

„30“ მაისი, 2024 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **გოჩა ჯეირანაშვილის** კანდიდატურის წარდგენის შესახებ გადაწყვეტილების

დასაბუთება

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრმა გიორგი გზობავამ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-13 პუნქტის მოთხოვნათა შესაბამისად, 2024 წლის 30 მაისს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ ჩატარებული ღია კენჭისყრის ფარგლებში, მხარი დაუჭირე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად, საქართველოს პარლამენტისთვის **გოჩა ჯეირანაშვილის** კანდიდატურის წარდგენას.

ჩემს მიერ აღნიშნული კანდიდატის მხარდაჭერის გადაწყვეტილება მიღებული იქნა შემდეგ გარემოებათა გამო:

კანდიდატის-**გოჩა ჯეირანაშვილის** მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის, კანდიდატის შესახებ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს შესაბამისი დეპარტამენტის მიერ მოპოვებული და წარმოდგენილი ინფორმაციის, ასევე კანდიდატთან ჩატარებული საჯარო გასაუბრების საფუძველზე, მივიჩნიე, რომ კანდიდატი-**გოჩა ჯეირანაშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო კანონით განსაზღვრული **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით, **გოჩა ჯეირანაშვილი** ჩემს მიერ შეფასდა მაღალი შეფასებით, კერძოდ - **92 (92%)** ქულით *(იხ. ჩემი 2024 წლის 29 აპრილის შეფასება).*

გოჩა ჯეირანაშვილის კანდიდატურის წარდგენაზე ჩემს მიერ გადაწყვეტილების მიღებისას, ასევე გათვალისწინებული იქნა ის გარემოება, რომ იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დანარჩენმა წევრებმა (ყველა წევრმა) ასევე მიიჩნიეს, რომ კანდიდატი **გოჩა ჯეირანაშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერების კრიტერიუმებს**, ხოლო **კომპეტენტურობის კრიტერიუმების** მიხედვით კანდიდატი შეფასდა **1386 ქულით**, ანუ ქულათა მაქსიმალური რაოდენობის **92,40%**-ით, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, მიმაჩნია რა, რომ კანდიდატი-**გოჩა ჯეირანაშვილი** სრულად აკმაყოფილებს „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონით განსაზღვრულ **კეთილსინდისიერებისა და კომპეტენტურობის კრიტერიუმებს** და მისი კანდიდატურა სრულად შეესაბამება საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობას, მხარს ვუჭერ **გოჩა ჯეირანაშვილის** კანდიდატურის საქართველოს პარლამენტისთვის ასარჩევად წარდგენას.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს წევრი:

გიორგი გზობავა